სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვის (cpv71320000)

საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

სარჩევი

1	საკონკურსო განცხადება	3
2	**დანართი N1**- აფიდავიტის ფორმა	8
3	**დანართი N2** - ტექნიკური დავალება	9
4	**დანართი N3** - ინფორმაცია მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ.	14
5	**დანართი N4** - ინფორმაცია ძირითად სპეციალისტთა შესახებ	15
6	**დანართი N5** -ინფორმაცია კონკურსანტის მიერ გაწეული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ.	16
7	**დანართი N6**- ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ	17
8	**დანართი N7**- საკონკურსო წინადადების ფასი	18
9	**დანართი N8**- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ფორმა	19
10	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	20

1. საკონკურსო განცხადება

1. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აცხადებს კონკურსს: "დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვაზე" და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:
2. **შესყიდვის ობიექტი:** საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N 2 (ტექნიკური დავალება) თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადება.
   - ✓ **შენიშვნა:** საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N2 შემდგომში განისაზღვრება გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფენ ნაწილად.
3. **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:** შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 210 000 (ორას ათი ათასი) ლარს, რაც მოიცავს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართით N2 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, ხელშეკრულების შერულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის გამოყენების შემთხვევაში), წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.
4. **დაფინანსების წყარო:** საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
5. **შესყიდვის ობიეატის მიწოდების ვადები:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 130 დღის განმავლობაში, ხოლო ანგარიშგების დეტალური ვადები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციის დანართში N 2;
6. **კონკურსში მონაწილეობის საფასური:** საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19^1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

სააგენტოს ანგარიშის ნომერი, რომელზეც გადაიხდება საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური	
მიმღების ბანკი:	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი:	REPLGE22

მიმღები:	ს.ს.ი.პ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღების ანგარიშის №	GE52BR0000010591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

- ✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო დოკუმენტაცია ექვემდებარება დისკვალიფიკაციას .

7. **საკონკურსო წინადადების ფასი:**

7.1.ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, რაც უნდა მოიცავდეს დანართით საკონკურსო დოკუმენტაციის N2 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, ხელშეკრულების შერულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის გამოყენების შემთხვევაში), წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

7.2. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ საპროექტო მომსახურების ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ზე მეტი ოდენობით სხვაობისას, კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მონაწილე პირი ვალდებულია, წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის და/ან ამ ფასად ვალდებულების მიწოდების შესაძლებლობის შესახებ. ზემოხსენებული დასაბუთებისა სათანადო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მონაწილე პირის დისკვალიფიკაციას.

7.3. საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N7 გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

7.4. საკონკურსო წინადადების ფასი, რომელიც აღემატება საკონკურსო განცხადების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

8. **მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ კონკურსანტები:**

8.1. კონკურსანტს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართით N3 გათვალისწინებული საკუთარი ან საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, გეოდეზური მოწყობილობები, საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოებისათვის შესაბამისი ტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარები, აპარატურა და ხელსაწყოები.

8.2. კონკურსანტს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს წარმოდგენილი ის ძირითადი სპეციალისტები, რომლებიც მოთხოვნილია საკონკურსო დოკუმენტაციის დანართით N 4 გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით. ამასთან, მათ უნდა გააჩნდეთ კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გაწევის არანაკლებ 5-10 წლიანი გამოცდილება.

8.3. კონკურსანტის მიერ 2011-2014 წლების განმავლობაში დაპროექტებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ჯამურად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 (ოცი) მილიონ ლარს.(შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი 0.6).

- ✓ **შენიშვნა:** საკონკურსო განცხადების 8.3. პუნქტით გათვალისწინებული ჯამური ღირებულება (20 (ოცი) მილიონი ლარი) წარმოადგენს მინიმალურ მოთხოვნას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი შეფასების მე-2 ეტაპზე დაშვების მიზნით, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების ჯამური ღირებულების გათვალისწინებით ექვემდებარება შეფასებას, შესაბამისად კონკურსანტი უფლებამოსილია წარმოადგინოს სრული ისტორია, რომელიც შეეხება დაპროექტებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას, ამასთანავე შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ 2011-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცით გათვალისწინებული ჯამური ღირებულება.

8.4.კონკურსანტს 2011-2014 წლების განმავლობაში, ერთი პროექტის (ერთი ხელშეკრულების) ფარგლებში წარმატებით განხორციელებული უნდა ქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომლის თანახმადაც დაპროექტებული სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 (ათი) მილიონ ლარს.

- ✓ **შენიშვნა:** შეფასების მე-2 ეტაპზე დაშვების მიზნით კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო განცხადების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მინიმალურ მოთხოვნებს. აუცილებლობის შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება/დაზუსტება. კონკურსანტი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს დისკვალიფიცირებული იქნება კონკურსიდან.

9. **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია:**

9.1. იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულება გაფორმდება 200000 ლარის ან მეტი თანხის ფარგლებში, კონკურსში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ფარგლებში, ხოლო თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ფარგლებში.

9.2. ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

10. **კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია.**

10.1. კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკონკურსო განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

- ✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო წინადადება არ იქნება მიღებული და დაუბრუნდება კონკურსანტს.

10.2. დანართი N1 (აფიდავიტი)- საკონკურსო დოკუმენტაციის გათვალისწინებული ფორმისა და შინაარსის დაცვით.

10.3. საკონკურსო წინადადების ფასი (ხარჯთაღრიცხვა) - საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N7 გათვალისწინებით (შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი 0.4).

- ✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადების ფასი, რომელიც აღემატება საკონკურსო განცხადების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

10.4. ინფორმაცია მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ - საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N3 მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.5. იინფორმაცია კონკურსანტის ძირითად სპეციალისტთა შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N4 მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.6. კონკურსანტის მიერ, 2011-2014 წლების განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N 5 მოთხოვნათა გათვალისწინებით (შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი 0.6).

10.7. კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების და ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა), რომლის თანახმადაც დადასტურდება, რომ კონკურსანტს 2011-2014 წლების განმავლობაში ერთი პროექტის (ერთი ხელშეკრულების) ფარგლებში განხორციელებული აქვს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) მომსახურება, რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს არანაკლებ 10 (ათი) მილიონ ლარს .

10.8. ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართითN 6 გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

- ✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

11. **კონკურსანტების მიერ საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის პირობები.**

11.1.კონკურსანტებმა თავიანთი საკონკურსო წინადადება და მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 05 მაისის 15:00 საათიდან 16:00 საათამდე დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, მე-3 სართული, ოთახი N 301 - სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

11.2.დალუქულ კონვერტში უნდა მოთავსდეს მხოლოდ საკონკურსო განცხადების 10.2-10.8 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, ხოლო კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მისი საკონკურსო განცხადების მე-5 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დალუქულ კონვერტთან ერთად წარედგინება საკონკურსო წინადადების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირს.

11.3. .საკონკურსო წიანდადების მიღება დასრულდება 2014 წლის 05 მაისის 16:00 საათზე, დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

11.4.კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

12. **ანგარიშსწორების პირობები:**

ანგარიშსწორების პირობების მოცემულია ხელშეკრულების მე-7 პუნქტში.

13. **საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა:**

13.1. საკონკურსო წინადებები შეფასდება კომისიური წესით, ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე განხორციელდება წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კონკურსანტების შერჩევა თუ რამდენად აკმაყოფილებს საკონკურსო წინადადების ფასი და წარმოდგენილი ინფორმაცია საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება საკონკურსო განცხადების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სავარაუდო ღირებულებას, ასევე სრულყოფილად არ იქნება წარმოდგენილი საკონკურსო განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია ან წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდება კონკურსანტის დისკვალიფიკაცია.

13.2.კონკურსის მე-2 ეტაპზე განხორციელდება შერჩეული პირების შეფასება შეფასების შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

N	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
1	საკონკურსო წინადადების ფასი	0,4

2	2011-2014 წლების განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) შედეგად დაპროექტებული სამუშაოების ჯამური ღირებულება	0,6
ჯამი		1,0

13.3. შეფასების კრიტერიუმის ქულის დაანგარიშების პრინციპი:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი :

ა.ა.) საუკეთესო საკონკურსო წინადადების ფასის მაჩვენებელს ავტომატურად მიენიჭება 10 ქულა.

ა.ბ.) ყოველი მომდევნო კონკურსანტ(ებ)ის ქულის დაანგარიშება განხორციელდება შემდეგი ფორმულით: საუკეთესო საკონკურსო წინადადების ფასის მაჩვენებელი გაყოფილი იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასის მაჩვენებელზე რომლის შემოთავაზებაც ფასდება და გამრავლებული 10-ზე;

ბ) 2011-2014 წლების განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) შედეგად დაპროექტებული სამუშაოების ჯამური ღირებულება:

ბ.ა.) ყველაზე მაღალი ჯამური ღირებულების მქონე მაჩვენებელს მიენიჭება 10 ქულა.

ბ.ბ.)ყოველი მომდევნო კონკურსანტ(ებ)ის ქულის დაანგარიშება განხორციელდება შემდეგი ფორმულით: იმ მონაწილის ჯამური ღირებულების მაჩვენებელი რომელიც ფსდება გაყოფილი ყველაზე მაღალი ჯამური ღირებულების მქონე მაჩვენებელზე და გამრავლებული 10-ზე.

13.4. შეფასება განხორციელდება 10 ბალით, მე-2 ეტაპზე შერჩეული პირებიდან გამარაჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც მიიღებს საკონკურსო განცხადების 13.3. პუნქტით გათვალისწინებული პრინციპის თანახმად დაანგარიშებული ქულისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გადამრავლებით მიღებულ ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.

14. **დამატებითი ინფორმაცია:**

14.1.დამატებითი ინფორმაცია ასევე შესაძლებელია მიიღოთ შემდეგი პირისგან - გიორგი ბულეიშვილი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი: ტელ: +995 32 2437001/02/03/04 (შიდა ნომერი 405)

დანართი №1

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ რომ ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. საკონკურსო წინადადების ფასი;
2. საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
3. საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
4. ისეთი სკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ დააკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

*საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებლივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის ხელმოწერა----------

დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად

ტექნიკური დავალება

წინამდებარე ტექნიკური დავალება აღწერს მიმწოდებლის (კონსულტანტი) მიერ განსახორციელებელ მომსახურეობას, დავალების მიზნებს, მისი შესრულებისათვის საჭირო სამოქმედო პრინციპებს, საშუალებებსა და ძირითად საბაზისო მონაცემებს.

დავალება ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №538 განკარგულებით განსაზღვრული ახიელი-ჭიმღა-ამღას გზის კმ0+000 – კმ22+000 მონაკვეთის მშენებლობა საჭირო სამუშაოების საპროექტო კვლევების ჩატარებასა და შესაბამისი დეტალური საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.

I. ასაშენებელი გზის მოკლე დახასიათება

ახიელი-ჭიმღა-ამღას საავტომობილო გზის დასაწყისი განისაზღვროს ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სოფ. გუდანის მიმდებარე მონაკვეთიდან. გაივლის ღრმა ხეობებს და უღელტეხილით გადადის მდ. ასას ხეობაში. სოფლების ჭიმღასა და ახიელის შემდეგ მთავრდება სოფ. ამღას დასაწყისში. არსებული გზა ვიწრო ბილიკების სახით (საავტომობილო გზა არ არსებობს) გადის დაუსახლებელ ადგილებში, ალპურ ფერდობებსა და ხეობებში, მათ შორის გვხვდება მეწყრული მონაკვეთები. იგი კვეთს როგორც მშრალ ხევებს, ასევე მცირე მდინარეებს.

II. მომსახურების მიზანია:

(i) საპროექტო მონაკვეთზე დაახლოებით კმ0-კმ22, (მანძილი დაზუსტდეს პროექტირის დამუშავების დროს) გზის ძირითადი ტექნიკური და ზოგადი სატრანსპორტო მახასიათებლებისა და მონაცემების განხილვა, შესწავლა და გაანალიზება, სოციალური და ეკონომიკური შეფასებებისა და ამ დავალებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით;

(ii) ტოპოგრაფიული და კლიმატური სირთულეებიდან გამომდინარე შესაძლებლობის ფარგლებში სრული საპროექტო კვლევის ჩატარება საამშენებლო მონაკვეთზე (დაახლოებით 22 კმ) სოფ. გუდანიდან სოფ. ამღამდე.

(iii) საპროექტო კველვა უნდა მოიცავდეს რამოდენიმე ალტერნატიული მიმართულების შედარებასა და რეკომენდირებული ვარიანტის ტექნიკურ კვლევას. კვლევის საფუძველზე გზის პროექტირებასა და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, ეკონომიკურ და სოციალურ ანალიზს, მოსაზრებებს განსახლებასთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ის უნდა ასახავდეს მოკლე წინასწარ ინფორმაციას პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედებისა და დასაკავებელი მიწების სტატუსის შესახებ, ამ მონაცემთა საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში (დამატებით), გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და განსახლების გეგმის პროექტის მომზადების მიზნით.

(iv) დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტის მომზადებასა და წარდგენას;

III. მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია:

1. შეისწავლოს ახიელი-ჭიმღა-ამღას საავტომობილო გზის კმ0-კმ22 (სიგრძე დაზუსტდეს პროექტით) მიმართულების სხვადასხვა ვარიანტი მაღალმთიან პირობებში ტრანსპორტის მოძრაობის სირთულის გათვალისწინებით და შერჩეული საუკეთესო ვარიანტები განიხილოს დასაკავებელი მიწებისა და განსახლების საკითხების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვარიანტების ამ კუთხით შედარების შესაძლებლობის მიზნით. შერჩეული ვერსიების მიხედვით ისინი უნდა შეადაროს და შეაფასოს გარემოზე ზემოქმედების კუთხითაც;

2. საბოლოოდ შერჩეულ რამოდენიმე ვარიანტს შორის, თავისი შეფასებებისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანალიზებაზე დაყრდნობით (გარემოზე ზემოქმედების ანალიზის გათვალისწინებით) წარუდგენოს შემსყიდველს მის მიერ რეკომენდირებული, ერთი საუკეთესო ვერსია გზის კონკრეტული მიმართულების მიხედვით.
3. შემსყიდველის მიერ განხილული და შეთანხმებული შერჩეული ვარიანტის მიხედვით მოამზადოს მშენებლობისათვის საჭირო დეტალური პროექტი, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო გზის ერთზოლიანი მიმართულება ჯიბეებით, რომლის პარამეტრები შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული სტანდარტებისა (სსტ გზები: 2009) და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატივების მოთხოვნებს მაღალმთიანი პირობებისათვის (როგორიც არის გზის გაბარიტი, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მრუდები, განივი პროფილები და სხვა).
4. წარმოდგინოს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციები.
ამისათვის გზის საპროექტო მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის უზრუნველყოფისა და სამუშაოების ოპტიმალური ღირებულების მიღების მიზნით:
ა). საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები);
ბ). საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფისა და განთავისუფლების, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);

IV. პროექტის განხორციელების წყარო

მშენებლობის დაფინანსება განხორციელდება საქართველოს 2014-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში.

V. მშენებლობა ითვალისწინებს:

ა). შესრულდეს საჭირო საგზაო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფენ გზის გამტარუნარიანობას;
ბ). საქართველოში მოქმედი ტექნიკური და მაღალმთიანი პირობების შესაბამისად გზის გეგმის, გრძივი და განივი პროფილების გეომეტრიული მაჩვენებლების მოწყობას. გზის ვაკისის სიგანე განისაზღვროს 6,5 მ, ხოლო სავალი ნაწილის სიგანე 4,5 მეტრით;
გ). ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მოწყობას 40 ტონა საანგარიშო დატვირთვების მიხედვით, გაბარიტებით 6,5 მ და ტროტუარების გარეშე.

VI. წინასწარი სამუშაოები

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა გაითვალისწინოს მიწების შესყიდვის ღონისძიებები (არსებობის შემთხვევაში), რომელთა განსახორციელებლად შესაძლოა საჭირო გახდეს განსაზღვრული წინასწარი სამუშაოების შესრულება.

VII. <u>სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური სპეციფიკაციები</u>

საავტომობილო გზის მშენებლობის სამუშაოების ჩამონათვალი და მისი სავარაუდო ღირებულებები ყველა შემთხვევაში განისაზღვრება საპროექტო მონაკვეთზე გათვალისწინებული საგზაო და არსებული რელიეფური პირობებით.

1. საველე საკვლევაძიებო სამუშაოებზე ჩასატარებელი საორიენტაციო სამუშაოები

ითვალისწინებს:

– მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას საველე სამუშაოებისათვის;
– რელიეფის ტოპოგრაფიულ გადაღებას გზის ღერძიდან ორივე მხარეს, რომელიც დამუშავებული უნდა იყოს აბსოლუტურ UTM კოორდინატთა სისტემაში;
– განივი პროფილების გადაღებას მახასიათებელ წერტილებში (განისაზღვროს ადგილზე);
– საჭიროების შემთხვევაში, მუდმივი რეპერების მოწყობას ტრასის მისაბმელად ხელოვნურ ნაგებობებთან;
– სახიდე გადასასვლელების, მცირე ხელოვნური ნაგებობების მოწყობის ადგილების შესრულებას ისეთი მოცულობით, რაც საკმარისი იქნება შემდგომი დაპროექტებისათვის;

2. კამერალური სამუშაოები

– გზის ტრასის სიტუაციური გეგმა დაპროექტების სირთულის პირობების მიხედვით გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000; გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000;
– გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000
– განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 100 სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;
– ტოპოგრაფიული გეგმები გამოიხაზოს ნორმალურ პირობებში მასშტაბში 1 : 1000;
– სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას სამშენებლო ნორმებით განსაზღვრული პირობითი ნიშნების გამოყენებით;

3. ხელოვნური ნაგებობებისათვის

უნდა შესრულდეს შემდეგი სახის საინჟინრო ჰიდროლოგიური და გეოლოგიური სამუშაოები:
– განისაზღვროს წყალშემკრები აუზები ხელოვნური ნაგებობებისათვის (ხიდები, მილები) და დათვლილ იქნას წყლის ხარჯები ნაგებობების ხვრეტების განსაზღვრის მიზნით;
– ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისათვის საჭირო წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება (შურფების გამოყენებით).

4. გზის ტრასის საინჟინრო- გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები

–საპროექტო გზის ტრასის წინასწარი საინჟინრო–გეოლოგიურ კვლევა (შურფების გამოყენებით) და ანგარიშის მომზადება, არსებული გეოლოგიური დასკვნების მასალების შესწავლისა და გაანალიზების ჩათვლით;

5. განსახლება და ეკოლოგია

ითვალისწინებს, რომ მიმწოდებელმა (კონსულტანტი):
– განახორციელოს საპროექტო გზის გასწვრივ და მიმდებარედ არსებული დასახლებული პუნქტებისა და მათი მოსახლეობის რაოდენობის, ძირითადი საქმიანობისა და სხვა საჭირო მონაცემების აღწერა-დახასიათება;
– განსაზღვროს საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოხვედრილი მიწის ფართობების რაოდენობა და მათი სახეობები (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და სხვ.);
– აღწეროს გზის მიმდებარე და პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ფიზიკური გარემო: გეოლოგია, გეომორფოლოგია, საშიში გეოლოგიური პროცესები, ჰიდროლოგია, კლიმატი და სხვა;

VIII. საჭირო სპეციალისტები

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია ჰქონდეს კარგი გამოცდილება საავტომობილო გზების (განსაკუთრებით მთიან პირობებში) პროექტირების, წინასწარი საპროექტო კვლევების, ეკონომიკური ანალიზების, სოციალური საკითხების შეფასებებისა და მათი გაანგარიშების, გარემოს დაცვითი ანალიზების თვალსაზრისით.
მას უნდა ჰყავდეს გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდი, რომლებიც ადგილზე (ველზე) განახორციელებენ მომსახურეობისა და დავალების შესრულებისათვის საჭირო საინჟინრო საქმიანობას, რისთვისაც, როგორც მინიმუმ, აუცილებელია ჰყავდეთ:

1. გუნდის ხელმძღვანელი – საგზაო/სამოქალაქო ინჟინერი არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
2. ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი – არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
3. ტოპოგრაფიული კვლევის სპეციალისტი – არანაკლებ 8 წლიანი გამოცდილებით;
4. ინჟინერ-გეოლოგი – არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
5. ჰიდროლოგი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
6. შესყიდვების/კონტრაქტების სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
7. ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;

საგზაო ინჟინერი – არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;

მიწოდებლისთვის (კონსულტანტი) რეკომენდირებულია იქონიოს მჭიდრო სამუშაო კონტაქტები და კონსულტაციები შემსყიდველთან, ძირითადი და საკვანძო საკითხების გაანალიზებისა და გადაწყვეტის პროცესში. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის კომენტარები და შენიშვნები და მოახდინოს შესაბამის ანგარიშებში სათანადო კორექტირება, ხელშეკრულების ვადის საბოლოო ამოწურვამდე.

IX. პროექტირების მომსახურეობის გრაფიკი, ანგარიშების წარმოდგენის ვადები

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია:

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, შესაბამისი კლიმატური პირობების დადგომისთანავე, დაიწყოს მომსახურების განხორციელება, რისთვისაც:

– არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგინოს შემსყიდველს მომსახურების დაზუსტებული სამუშაო გრაფიკი;

– არაუგვიანეს 45 დღეში წარმოადგინოს შესრულებული საველე-კვლევითი სამუშაოების ანგარიში და წინასწარი ტექნიკური გადაწყვეტილებები შემსყიდველთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად;

– არაუგვიანეს 105 დღეში წარმოადგინოს დეტალური პროექტის წინასწარი ვერსია შესათანხმებლად და განსახილველად;

– არაუგვიანეს 130 დღეში წარმოადგინოს ექსპერტიზაგავლილი საბოლოო დეტალური პროექტის საბოლოო ანგარიში;

შემსყიდველი წარმოდგენილ ანგარიშებს განიხილავს ეტაპების შესაბამისად, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მომსახურების ხანგრძლივობა (ექსპერტიზის ჩათვლით)შეადგენს 130 დღეს;

საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს მშენებლობის სრულ და დეტალურ საპროექტო დოკუმენტაციას, ხარჯთაღრიცხვას და სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს;

ანგარიშების რაოდენობა შესრულებული ქართულ ენაზე უნდა იყოს – 6 ეგზემპლიარი + ელ. ვერსია – 2 CD

მიმწოდებელმა (კონსულტანი) უნდა გაითვალისწინოს, რომ ანგარიშები (ასევე ელექტრონული ვერსიები). წარმოდგენილი უნდა იქნას შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადებში, რისთვისაც მიმწოდებელმა (კონსულტანტი) წინასწარ უნდა იზრუნოს.

X. განსაკუთრებული პირობები

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია აღნიშნული პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის საპროექტო მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს საპროექტო გადაწყვეტილებათა დაზუსტებაში, მუშა ნახაზების, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში.

XI. რეკომენდირებული სტანდარტები

რეკომენდირებულია და მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული სტანდარტებითა და საქართველოში მოქმედი სხვა სტანდარტებისა და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებით.

ნორმებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიური ნორმის დაშვებისა, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას შემსყიდველთან შეთანხმებული

დანართი N3

ინფორმაცია მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ.

მინიმალური მოთხოვნა				**ივსება კონკურსანტის მიერ**			
N	დასახელება/ აღწერილობა	განზომ	რაოდ.	დასახელება აღწერილობა,მოდელი, ტიპი და მარკა (*)	რაოდენობა/ განზომილება (*)	მფლობელობის ფორმა (**)	მესაკუთრის დასახელება (***)
1	2	3		4	5	6	7
1	GPS (გადასაადგილებადი და თანამგზავრული სადგურით)	ც	2				
2	ელექტროტაქეომეტრი	ც	2				
3	ნიველირი	ც	2				
4	გრუნტის სტატიკური და დინამიკური ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა (CBR)	ც	1				
5	მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებები	ც	2				
6	საგზაო პროგრამა	ც	1				
7	ხელოვნური ნაგებობების საანგარიშო პროგრამა	ც	1				

(*) ცხრილის მე-4 და მე-5 სვეტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს.

(**)კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად კონკურსანტს უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, თხოვება და ა.შ.) ცხრილის მე-4 და მე-5 სვეტში მითითებული დასახელებისა და რაოდენობის მანქანა-მექანიზმები, შესაბამისად ცხრილის მე-6 სვეტში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს მფლობელობის ფორმა (მაგ. საკუთარი, იჯარა,თხოვება და ა.შ).

(***) ცხრილის მე-7 სვეტში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს მესაკუთრის დასახელება

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი N4

ინფორმაცია ძირითად სპეციალისტთა შესახებ

მინიმალური მოთხოვნა				**ივსება კონკურსანტის მიერ(*)**			
№	დასახელება	ანალოგირ სამუშაოზე მუშაობის სტაჟი წლების მიხედვით	დასაქმებულ სპეციალისტთა რაოდენობა	სახელი, გვარი, პირადი ნომერი.	დაკავებული თანამდებობა/სპეციალობა	ანალოგიური მომსახურების გაწევის საერთო გამოცდილება წლების მიხედვით	ბიოგრაფიული მონაცემები(**)
1	2	3	4	5	6	7	8
1	გუნდის ხელმძღვანელი - საგზაო /სამოქალაქო ინჟინერი	10	1				
2	საგზაო ინჟინერი	10	1				
3	ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი	10	1				
4	ტოპოგრაფიული კვლევის სპეციალისტი	8	1				
5	ინჟინერ-გეოლოგი	10	1				
6	ჰიდროლოგი	5	1				
7	შესყიდვების/კონტრაქტების სპეციალისტი	5	1				
8	ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი	5	1				

(*)კონკურსანტი უფლებამოსილია შემსყიდველის მიერ განსაზღვრული „მინიმალური მოთხოვნები“-ს გასწვრივ შეავსოს მხოლოდ მოცემული ცხრილის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 სვეტები. ამასთანავე კონკურსანტი არ არის შეზღუდული მინიმალური მოთხოვნებით განსაზღვრული მოთხოვენბის დაცვით წარმოადგინოს უფრო მეტი სპეციალისტი ვიდრე ეს არის წინამდებარე ცხრილით მოთხოვნილი.

(**)**ბიოგრაფიული მონაცემები:** აღნიშნულ სვეტში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს წარმოდგენილი ძირითადი სპეციალისტის (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით. ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება კონკრეტული ობიექტების მითითებით, დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია)., ამასთანავე აღნიშნულ სვეტში ინფორმაციის შევსების ნაცვლად კონკურსანტი უფლებამოსილია არსებული მოთხოვნების დაცვით წარმოადგინოს ძირითადი სპეციალისტის რეზიუმე (CV).

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი N5

ინფორმაცია კონკურსანტის მიერ გაწეული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ.

№	შემსყიდველის (დამკვეთი) დასახელება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ხელშეკრულების N	სახელშეკრულებო ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადები დაწყება-დასრულება წლების მიხედვით	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	დაპროექტებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (*)	შენიშვნა
1							
2							
3							
....							

(*) დაპროექტებული სამუშაების უცხოურ ვალუტაში წარმოდგენის შემთხვევაში ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშება განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდიზე (WWWnbg.gov.ge) მითითებული გაცვლითი კურსით იმ კალედარული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელ კალენდარულ წელსაც განხორციელდა მომსახურების დასრულება.

- ✓ **შენიშვნა:**

კონკურსანტის მიერ 2011-2014 წლების განმავლობაში დაპროექტებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ჯამურად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 (ოცი) მილიონ ლარს.(შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი 0.6).

ჯამური ღირებულება (20 (ოცი) მილიონი ლარი) წარმოადგენს მინიმალურ მოთხოვნას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი შეფასების მე-2 ეტაპზე დაშვების მიზნით, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების ჯამური ღირებულების გათვალისწინებით ექვემდებარება შეფასებას, შესაბამისად კონკურსანტი უფლებამოსილია წარმოადგინოს სრული ისტორია, რომელიც შეეხება დაპროექტებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას, ამასთანავე შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ 2011-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცით გათვალისწინებული ჯამური ღირებულება.

2011-2014 წლების განმარტება- აღნიშნული მოთხოვნა მოიცავს პერიოდს და სავალდებულოდ არ გულისხმობს, რომ კონკურსანტს განხორციელებული უნდა ქონდეს თითოეული კალენდარულ წელში ანალოგიური ხასიათის საპროექტო მომსახურება, მაგ: თუ კონკურსანტს 2011-2014 წლებიდან მხოლოდ ერთ კალენდარულ წელში აქვს განხორციელებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნას (დაპროექტებული სამუშაოების ჯამური ღირებულება (20 (ოცი) მილიონი ლარი), ასეთ შემთხვევაში კონკურსანტის დაიშვება შეფასების მე-2 ეტაპზე.

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი N6

რეკვიზიტები

- პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული ფოსტის მისამართი:
- მომსახურე ბანკი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი N7

წინამდებარე დანართზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი გვაქვს კონკურსით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და „_____“ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და

(კონკურსანტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება)

არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებას უზრუნველყოფს შემდეგ ფასად _____ _____ ლარი

(თანხა ციფრებთ) (თანხა სიტყვიერად)

ამასთანავე ვადასტურებთ, რომ საკონკურსო წინადადების ფასი მოიცავს საკონურსო დოკუმენტაციის დანართით N2 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, ხელშეკრულების შერულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის გამოყენების შემთხვევაში), წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი N8

ხელშეკრულების შესრულების გარანტია N

(გაცემის ადგილი) *(გაცემის თარიღი)*

გარანტი: _____

(სახელი და მისამართი)

პრინციპალი: _____

(სახელი და მისამართი)

ბენეფიციარი: _____

(სახელი და მისამართი)

საგარანტიო თანხის ზღვრული მოცულობა: _____ _____

(თანხა ციფრებით) *(თანხა სიტყვიერად)*

გარანტისთვის ცნობილია, რომ პრინციპალმა ბენეფიციარის მიერ გამოცხადებული კონკურსში

(კონკურსის დასახელება)

წარდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე იკისრა ვალდებულება წარადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

პრინციპალის თხოვნის საფუძველზე, გარანტი იღებს გამოუთხოვად, უპირობო ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს ნებისმიერი თანხა, რომლის ოდენობა ჯამში არ აღემატება . . . . . *(თანხა ციფრებში)* . . . . . *(თანხა სიტყვიერად.)* ლარს. გადახდა განხორციელდება ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში. მოთხოვნაში ან მის დანართში ასახული უნდა იყოს ის გარემოება, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მხრიდან ზემოთ მითითებული ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულების დარღვევა. ამასთანავე ბენეფიციარს არ მოეთხოვება ვალდებულების დარღვევის ფაქტის მტკიცება და მასში მითითებული თანხის დასაბუთება.

წინამდებარე გარანტია ძალაშია *(ძალაში შესვლის რიცხვი, თვე, წელი და დასრულების რიცხვი, თვე, წელი).* გადახდის შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს შემდეგ მისამართზე:---------- ზემოაღნიშნული თარიღამდე.

გარანტიის მოქმედება წყდება ერთ-ერთ ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევაში:

ა)იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც არის გარანტია გაცემული;

ბ)პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებით;

გ)გარანტის მიერ გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის სრულად გადახით;

დ)ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე უარის წერილობითი განცხადების ან საგარანტიო წერილის ორიგინალის უკან დაბრუნებით.

. . . . . .

ბანკის ბეჭედი და ხელმოწერა(ები)

შენიშვნა:

ა)სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს მითითებული შინაარსის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენა,წინამდებარე კონკურსში მონაწილეობის მიღებით კონკურსანტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას, რომ აღნიშნული გარანტიის შინაარსი შეთანხმებიულია საქართველოში მოქმედ საფინანსო ინსტიტუტებთან.

ბ)საბანკო გარანტიის წარმოდგენა სავალდებულოა თუ გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულება გაფორმდება 200000 ლარის ან მეტი თანხის ფარგლებში.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ კონკურსანტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული კონკურსანტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი **„ __“ „------ “ 2014წ**

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი ---------- --------- სახით და მეორე მხრივ ---------- (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ------_____ სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3.„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4.„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5.„დღე“, კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით (ტექნიკური დავალება და გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად <u>დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ რომკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეგენის მომსახურება</u> (შემდგომში მომსახურება) (cpv71320000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1(ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება ა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2.მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3.მომსახურებისა და მისი ეტაპების გაწევის ვადა მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1(ტექნიკური დავალება).

5. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ----------

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების წარდგენისა და მირება-ჩაბარების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი.

7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების

7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5.მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარის, უპირობო, გამოუთხოვადი

წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

7.6.წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 7.5. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.6.მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში ანგარიშსწორება მომსახურების ცალკეულ ეტაპებზე განისაზღვრება შემდეგი პროპორციით:

7.6.1. საძიებო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშისა და ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებების წარმოდგენისა და მოწონების შემდეგ ---- ლარი (ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების არაუმეტეს 40%)

7.6.2. წინასწარი დეტალური პროექტის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ ---- ლარი (ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების არაუმეტეს 50%)

7.6.3. საბოლოო დეტალური პროექტის წარმოდგენის, ასევე შემსყიდველის მიერ საბოლოოდ მოწონებისა და ექსპერტიზის შენიშვნების ამოწურვის შემდეგ (ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების არაუმეტეს 10%)

(აღნიშნული პუნქტი (7.6.) დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების დროს)

8.მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდეციალურობა და სავტორო უფლება

9.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მისი შემადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებულ ინფორმაციის კონფიდეციალურობის დაცვა.

93.საავტორო ულების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.მხარეთა ვალდებულებები

11.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

10.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

10.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

11.მხარეთა უფლებები

11.1მიმწოდებელს უფლება აქვს:

11.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
11.2 შემსყიდველს უფლებააქვს:
11.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.
11.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

12.ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული

ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

13.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების

დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

17.1. მხარეთა შეთანხმებით;

17.2. ხელშეკრულების 16.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

17.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 20-- წლის --- ------ ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

19.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.